



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 11
30/01/2019

11-06-4-201901301250



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეთა შეფასების მეთოდის, დოკუმენტური მასალის შეფასების, გასაუბრების წესის განსაზღვრისა და კომპეტენციების გაცნობის, შუალედური შეფასებისა და საბოლოო შეფასების ოქმების ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტისა და „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N220 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. განისაზღვროს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების მეთოდი, დოკუმენტური მასალის შეფასებისა და გასაუბრების წესი“ დანართი N1 შესაბამისად.
2. დამტკიცდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა კომპეტენციის გაცნობის, შუალედური შეფასებისა და საბოლოო შეფასების ოქმების ფორმები“ დანართი N2, N3 და N4-ის შესაბამისად.
3. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს (ნ.თავდუმამეს) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გაცნობა აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისთვის, ასევე მათ განუმარტოს შეფასების მეთოდი, შეფასები ქულების მინიჭების, საბოლოო შედეგის გამოთვლისა და გასაჩივრების წესი.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

